**პროგრამა „იმოქმედე ადგილობრივად მდინარე ბარიჩის ხეობაში”**

**„იმოქმედე ადგილობრივად” არის პოლონურ – ამერიკული თავისუფლების ფონდის პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2000 წლიდან პოლონეთში ფილანტროპიის განვითარების აკადემიის მიერ.**

**რა არის პროგრამის მიზანი?**

პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება სხვადასხვა საერთო საკითილდღეო სახის მიზნების ირგვლივ. პროგრამის რეალიზება ხდება საგრანტო კონკურსების ორგანიზების გზით, რომლის მეშვეობით ფინანსდება პატარა ქალაქების ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობის პროექტები.

**რა წყაროებიდან ფინანსდება პროგრამა?**

პროგრამას აფინანსებს პოლონურ – ამერიკული თავისუფლების ფონდი. დამატებით, დოტაციებს ადგილობრივ საგრანტო კონკურსზე იძლევიან თვითმმართველობები, ფირმები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოსახლეობა.

**რა გზით ხდება დოტაციის მინიჭება?**

„იმოქმედე ადგილობრივად” არის ერთადერთი პროგრამა, რომლის ფარგლებში დოტაციები გაიცემა ლოკალურ დონეზე. ამის საშუალებას გვაძლევს თანამშრომლობა პროგრამის პარტნიორთან – **„ადგილობრივი საგრანტო ორგანიზაციების ქსელთან”** **(ასო).**

ქსელ „ასო” – ში შედიან ამხანაგობები, ფონდები, რომლების შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით. დღემდე წევრთა რაოდენობა 15 გაიზარდა 52 მდე.

ყოველწლიურად პოლონურ – ამერიკული თავისუფლების ფონდის სახსრები გადაეცემა ყოველ პარტნიორს. დამატებით, ყოველი „ასო”ს ქსელი იძიებს დამატებით საკუთარ სახსრებს საგრანტო კონკურსის თანადაფინანსების მიზნით. ამ სახსრებს აწვდიან თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა ინსტიტუციები ან მაცხოვრებლები.

ყოველწლიურად „ასო” თავის ტერიტორიაზე აცხადებს **ადგილობრივ საგრანტო კონკურსებს.** ყოველი კონკურსის ფარგლებში პროექტების განხორციელებაზე გაიცემა დაახლოებით 10 გრანტი. პროექტების მიზნები:

- ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება სხვადასხვა საერთო საკეთილდღეო სახის მიზნების ირგვლივ
- გარკვეული ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა ან მოსახლეობის გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება,
- კონკრეტულად დასახული მიზანი, კარგად დაგეგმილი ქმედებები, გაზომვადი რეზულტატი და გონივრულად გაწერილი ბიუჯეტი,
- ადგილობრივი ინსტიტუციების და მოსახლეობის მიერ პროექტის რეალიზება,
- ადგილობრივი რესურსების (ნატურალური, საზოგადოებრივი, ადამიანური და ფინანსური) გონივრული გამოყენება.

ადგილობრივი კონკურსები ტარდება **ერთნაირი წესების** მიხედვით. აქცენტი კეთდება გამჭირვალობაზე, ღიაობაზე და გახსნილობაზე.

**ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?**

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია **არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და არაფორმალური ჯგუფებისთვის**. „ასო"ს ბენეფიციარების უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ **ადგილობრივი მაცხოვრებლების ჯგუფები**, რომლებსაც მანამდე არ ქონდათ ინფორმაცია პოლონეთის ტერიტორიაზე გამოცხადებული კონკურსების შესახებ, ან არ სჯეროდათ საკუთარი ძალებისა.

პოლონეთის სხვა საგრანტო პროგრამებისგან განსხვავებით, პროგრამაში „იმოქმედე ადგილობრივად" **გადაწყვეტილებები დაფინანსების შესახებ წყდება ადგილობრივ დონეზე**, როგორც ადგილობრივი საგრანტო კომისიის მუშაობის ეფექტი, რომელიც შედგება სხვადასხვა ავტორიტეტული პირებისგან. „ასო" გამოყოფს ფულს პროექტების რეალიზებაზე და აკონტროლებს ანგარიშსწორებას.

**რა სახის ღონისძიება შეიძლება დაფინანსდეს?**

დოტაციები გაეცემა პროექტებზე, რომლებიც უკავშირდებიან: სოციალურ დახმარებას, მეცნიერებას, განათლებას, აღზრდას, კულტურას, ხელოვნებას, კულტურის ძეგლთა დაცვას და ტრადიციებს, ჯანმრთელობის დაცვას, ინკლუზიურ ჯგუფებს, უმუშევართა პროფესიულ აღზრდას და დასაქმებას, ქალთა უფლებების დაცვას, ბავშვთა და ახალგაზრდების დასვენებას, ეკოლოგიას და ცხოველთა დაცვას, ბუნების დაცვას, საჯარო წესრიგს და უსაფრთხოებას, საზოგადობრივ პათოლოგიებთან ბრძოლას, ადამიანთა თავისუფლების და უფლებების დაცვას, დემოკრატიის განვითარებას, მოხალისეობის განვითარებას, საქველმოქმედო საქმიანობასთან და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების დახმარებასთან.

**როგორ ვმოქმედებთ ბარიჩის ხეობაში?**

2006 - 2009 წლებში ბარიჩის ხეობის პროგრამას კოორდინირებდა ეკოგანვითარების ფონდი. „იმოქმედე ადგილობრივად" პროგრამის ფარგლებში გაიცა **53 მცირე გრანტი 183 ათასი ზლოტის ოდენობით.** დავეხმარეთ პეტროვიცე მალებში ისტორიული პარკის რესტავრაციაში, მილიჩში ჩავატარეთ ტრენინგები ბარიჩის ხეობის ახალგაზრდა ეკოგიდებისთვის, გმინა პშიგოჯიცეს ღარიბ ბავშვებისათვის მოვაწყეთ „არდადაგები უნაგირში", პროექტის მიზანი იყო არა მხოლოდ გართობა, არამედ ადგილობრივი ბუნების და ძველი ტრადიციების გაცნობა.
2010 წლიდან პროგრამას კოორდინირებს ამხანაგობა „პარტნიორობა ბარიჩის ხეობისთვის".

## 2010 წელს განხორციელებული პროექტები, მაგალითები

**შემტანი:** ოსტშევსკო – ოსტროვსკას მიწის აგროტურისტული ამხანაგობა"უნაგირში"
**დასახელება**: უნაგირში, მშვილდით ბუნებისკენ.
**დოტაციის თანხა:** 5700 ზლოტი
**პროექტის აღწერა:** პროექტის მიზანია პშიგროდნიჩეკის მაცხოვრებლების ჩართულობა სოფლის განვითარებაში სოფლის ზეიმის ორგანიზების გზით: „ჰუბერტოვინი: მშვილდოსნობის ტრენიგების ორგანიზება, მშვილდოსნობა ცხენებზე, ბიატლონი ( მშვილდოსნობა) და ა.შ.

**შემტანი:** ეკოლოგიური განათლების ამხანაგობა ,,ბარიჩის ხეობა’’.
**დასახელება:** დავინტეგრირდეთ - "დაანაწილე ნაგავი ჩვენთან ერთად".
**დოტაციის თანხა:** 3405 ზლოტი
**პროექტის აღწერა:** ნაგავის დანაწილებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ტრენინგების ორგანიზება. პროექტის გეგმაშია: კაიაკებით საინტეგრაციო მგზავრობა, ტურისტული ბილიკის დასუფთავება, საგანმანათლებლო ქმედებები სკოლებში და ა. შ.

**შემტანი:** ვინი პუხის სახელობის საბავშვო ბაღი.
**დასახელება:** ვინც არ იცის, გაიგოს ოდოლანოვის შესახებ.
**დოატციის თანხა:** 2630 ზლოტი
**პროექტის აღწერა:** პროექტის მიზანია პატარა ასაკიდან ბავშვების რეგიონულ განათლებაში ჩართვა. დაგეგმილია გმინის ტერიტორიაზე ექსკურსიის მოწყობა რეგიონულ პალატაში, სიმღერის ფესტივალი და რეგიონალური ნაკეთობების ბაზრობა.

**შემტანი:** გმინის საჯარო ბიბლიოთეკა სოშნიაში.
**დასახელება:** "შეგიყვარდეს ცხოვრების ჯანსაღი სტილი და იყავი მისი შემქმნელი" – კულინარული კონკურსი და კერძების დეკორირება.
**დოტაციის თანხა** 4360 ზლოტი
**პროექტის აღწერა:** პროექტის მთავარი მიზანია სოფლის ქალების თავისუფალი დროის გატარების პირობების გაუმჯობესება. პროექთი ითვალისწინებს კერძების დეკორირების და კულინარული ტრენინგების ორგანიზებას.